# სამშობლო

პარასკევი 18 სექტემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 178 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 178

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ბრძოლის ველზე მოკლულ იქნა მე 403-ე ქვეითა ვილსკის პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი

## თავ. ლევან გრიგოლის ძე მიქელაძე,

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი კნეინა ეკატერინე (კატო) მერაბის ასული, თავისი პატარა ვაჟით ალმასხანით. პანაშვიდი ყოველ დღე, სადამოს 5 საათზე, სოფ. კულაშს, საკ. სახლი. მოსვენებისა და დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.
1—1—2019.

ღრმათ დამწუხრებული შვილები უდროოდ გარდაცვალებულის

## მღ. ვლადიმერ გაბრიელის ძე გოჭორიშვილისა,

გულითად მადლობას უძღვნიან მათ, ვინც პირადი დასწრებით, დეპეშებით თუ წერილობით მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ერთად ერთი ნუგეშის, საყვარელი მამის დაკარგვით გამოწვეულ აუტანელ მწუხარებაში.
1—1—2018

ვალერია დავით თოსელიანის ასული მაჭავარიანისა, კნეინა მარი კირილეს ასული წულუკიძისა და თ-დი კოწია იასონის ძე წულუკიძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებსა და მეგობრებს გარდაცვალებას: პირველი ძვირფასი და დაუვიწყარი დედის, მეორე ბებიის და მესამე ცოლის ბებიის

**სალომე თ-დ მათი ფალავას ასულის იოსელიანისას,**

რომლის გამოსვენებაც დ. აბაშიდან სოფ. კოდორის ეკლესიაში დანიშნულია 19 სეკტემბერს, დილის 9 საათზე, სადაც ნაწირვებს მოხდება მიცვალებულის დაკრძალვა.
1—1

ქალაქის თეატრი

19 სეკტემბერს, ცნობილი ახალგაზდა მომღერალი ვარ. ლორთქიფანიძე გამართავს

## კონცერტს.

ხუთ განყოფილებათ.

1. ალ. წერეთელი წაიკითხავს მოკლე რეფერატს ხელოვნებაზე.
2. წარმოდგენილი იქნება დრამატიული ეტიუდი ილ. ჭავჭავაძისა, **დედა და შვილი.** მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ეპიტაშვილისა და ი. ყლენტი.
3. კონცერტიული განყოფილება: მონაწ. მიიღ.: ბ-ნი ვარდენ ლორთქიფანიძე, თბილისიდან მოწვეულნი: ა) პროფ. თბილისის მუზიკალურ სასწავლებლისა, ცნობილი იტალიური ოპერის არტისტი ბ-ნი ბროჯი-მუტტინი (დრ. ბარიტონი), ბ) ქ-ნი ე. ა. ხორინა (მეცო სოპრანო) და ქ-ნი ანდრონიკაშვილ-ციციშვილისა (პიანინო), სკრიპკის დამკვრელი ბ-ნი კარაგოზიანი და ვიოლონჩელის დამკვრელი ბ-ნი ხაჩატუროვი შეასრულებენ სხვადასხვა ოპერის არიებს და რომანსებს.
4. სალიტერატურო განყოფილება. მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნი ჩარექოვისა, ბბ. დ. თომაშვილი, ვ. იაშვილი, გუტა, გ ტაბიძე, ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, შალვა დადიანი, შოთა დადიანი, ილ. ბახტაძე და ილ. ყლენტი.
5. ისევ კონცერტიული განყოფილება: სხვათა შორის ბ-ნი ლორთქიფანიძე შეასრულებს ქართულ რომანსებს.

დაუკრავს ორკესტრი. დაწვრილებით აფიშებსა და პროგრამებში.

დასაწყისი სადამოს 8 საათზე.

გაიხსნა 15 ენკენისთვიდან საკონდიტრო

## „რეიმსი" და „გრანდ-კაფე"

ქუთაისში, გიმნაზიისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში, ქართული თეატრის გვერდით.
8—2

გ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან **გადაკეთდა** საშუალო კერძო პროფესიონალურ სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით. სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: სამზადისა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.
მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.
მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 17 სეკტემბრიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.

ღამე ანტერონის კუნძულზე. სანახაობა.

სენსაცია! სეზონის თაიგული!

## ქაბუკი გმირი.

ძლიერი დრამა უკანასკნელ ომის ამბებიდან ორ ნაწილათ. დიდი საყურადღებო სანახაობა.

პიესა ნათამაშებია ფირმის საუკეთესო არტისტებისაგან.

**ვენეციური ჩულქი.** მხიარული კომედია ორ ნაწილათ.

ანონსი: ორშაბათიდან 21 სეკტემბრიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი გაგრძელება მილიონების ბიინოზის გავლენის ქვეშ. 5 და 6 სერია 5 ნაწ.

ანონსი: კვირას, 20 სეკტემბერს გალაკტ. ტაბიძის **საღამო** ქალაქის თეატრში. დაწვრილებ. შემდეგ. ანონსი:

## გამცხადება.

**კავკასიის სამთომადნო მართველობა** აცხადებს, რომ 29 ამა სეკტემბერს 1915 წლისა, ქ. ქუთაისში მოწვეულია შორაპნის მაზრის **შავი ქვის მრეწველთა** არაჩვეულებრივი **კრება** კავკასიის პირველ სამთომადნო ოლქის სტატს-სოვეტნიკის აბრამ გრიგოლის ძის **ცეიტლინის** თავჯდომარეობით შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1) სიეზდის მდივნის არჩევა; 2) მიენიჭოს საბჭოს უფლება სესხის აღებისა, რადგანაც, ომის გამო საფუთო გადასახადი შესწყდა; 3) საფუთო გადასახადის გადიდება $1/4$ კაპიკით საბჭოსაგან აღებულ სესხის გადასახდელათ.
2—1

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

## „რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

**ექიმი** გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეტი**

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება სადამოს 4—6 ს.


# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 16 ეკენ. ოფიც. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან. ფრიდრიხშტადტის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში გერმანელებმა უშედეგო იერიშები მიიტანეს სოფლებ ლიგერსა და ჩუკშზე, ვირსგალენის ჩრდილო-დასავლეთით იერიში თოფისა და არტილერიის ცეცხლით მოგერებულ იქნა. დვინკსთან გაუწყვეტელი სროლაა ზარბაზნებით. გერმანელების იერიშებს სოფელ გენტენსა და სიინტიან [illegible] თითქმის გძელდება. სოფელ კოზიანის რაიონში მცირე შეტაკებები ხდება. კრევოს ჩრდილოეთით და ოშმიანის სამხრეთ აღმოსავლეთით მტერმა რამდენიმეჯერ იერიში მიიტანა ჩარტორისკზე. პირველათ ყველა იერიში მოვიგერეთ, ხოლო შემდეგ, მაშველი ჯარის საშუალებით, მტერმა შესძლო ჩვენი შევიწროება. სოფელ ნოვოალექსინევაზე 15 ეკენისთვეს მტერმა იერიში მიიტანა სამჯერ არტილერიის ცეცხლის დახმარებით. იერიში ყოველთვის მოგერებულ იქნა ჩვენის არტილერიისა და თოფის ცეცხლით. მდ. სტრიპაზე, სოფ. კუპჩინცის რაიონში, ტარნოპოლის დასავლეთით, საარტილერიო ბრძოლა ძლიერდება. მედგარი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მტრის თხრილები ჩაიგდო ხელში სოფ. ხიდაუს დასავლეთით განაგრძო რა შეტევა, წინასწარ ძლიერი ცეცხლის დაშენის შემდეგ, ჩვენი ჯარი იერიშით მივიდა მტერზე, გაარღვია მავთულის ღობეები და აიღო მტრის თხრილები სოფ. კუპჩინცის აღმოსავლეთ რაიონში.

## დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** 16 ეკენ. ფრენჩის მოხსენება. ლოოსის გარშემო და მის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლა გრძელდება. ამ ქამათ ჩვენს ხელში არის მთელი ადგილი ჩრდილოეთით ქიმიდან, (70) რომელიც მტერმა შაბათს კვლავ დაიკავა. ლოოსის სამხრეთით წინ წავიწიეთ და ხელში ჩავიგდეთ კიდევ ერთი ზარბაზანი სულ წამოღებულია 21 ზარბაზანი. ჩვენსა და მოპირდაპირეს შუა კიდევ სხვა ზარბაზნებიც არის მიტოვებული მტრიისაგან. ტყვეთა რაოდენობა 3000 კაცს აღემატება, წავართვით აგრეთვე 40 ტყვიის მტყორცნელი და ამას გარდა ბევრი ტყვიის მტყორცნელი განადგურებულია ჩვენის ყუმბარებისაგან. მტრის სიმაგრეების ხაზი, რომელიც ჩვენ დავიკავეთ, განსაკუთრებით ძლიერი იყო და შეადგენდა ორმაგ ფრონტს, სადაც იყო ორი საველე ციხე, რომელსაც ეძახდენ ჰოჰენცოლერნსა და იმპერატორ ვილჰელმს. ამავე ხაზზე იყო გაკეთებული საველე სიმაგრეები რომელიც გარშემო შემოვლებულია თხრილებითა და მავთუ-

ლიან ლობეებით ყუმბარებისაგან თავის დასაფარავათ.

მეორე ხაზი იყო ლოოსის დასავლეთით. ამ ჟამათ ჩვენ მივუახლოვდით მტრის მესამე ხაზს. დღეს ჩვენმა ჰაეროპლანებმა რკინის გზას ყუმბარები დაუშინეს და მატარებელი დაამსხვრიეს. გააფუჭეს აგრეთვე რკინის ლიანდაგი აშელეგრანის ახლოს.

**პარიზი.** 15 ეკენ. დღის ოფიციალური ცნობა. არტუაში სალამოთი და ღამით ჩვენ ნაბიჯ ნაბიჯით წინ წავიწიეთ აღმოსავლეთისაკენ მთების ხეულეში სუშედან სამხრეთ აღმოსავლეთით. შამპანში გერმანელები თავის მეორე ხაზზე მაგრდებიან. ცოტათი წინ წავიწიეთ 185 მეტ. სიმაღლის მიმართულებით ფერმის დასავლეთით, და მასიჟის მიმართულებითაც. არგონებში მტრის 8 ბათალიონი ჯარი ჩვენი თხრილების წინააღმდეგ პირველ ხაზზე ფილმორტთან და ბოლანტთან მედგარ იერიშებს აწარმოებს. თხრილები მტერს დარჩა. გუშინ ჩვენ მიერ მიტანილ კონტრ-იერიშით მტერი შევავიწროვეთ ყველა პუნკტზე, რომელიც მათ ხელში ჩაიგდეს. ჩვენი თხრილების წინ მდებარე ადგილი სავსეა დახოცილ გერმანელთა გვამებით. დანარჩენ ფრონტზე ღამემ შედარებით წყნარათ ჩაიარა.

### სალამოს ოფიციალური ცნობა.

დღის განმავლობაში ჩვენი ჯარი განაგრძნობდა ნაბიჯ-ნაბიჯით წინ სვლას მთების ქედებისაკენ სუშეს აღმოსავლეთით. ამ წინ სვლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 100 კაცამდი, რომელთა შორისაც არიან რამდენსამე დღის წინ რუსეთის ფრონტიდან მოსულნი გვარდიის ჯარის კაცები. აგრეთვე წარმატება ჰქონდა ჩვენს ბრძოლას შამპანში, კერძოთ მარიჟის ჩრდილოეთით, სადაც ხელში ჩავიგდეთ 800 ტყვე. არგონებში მტერმა მძლავრათ დაუშინა ყუმბარები ჩვენს თხრილებს, რასაც ჩვენ ენერგიულათ ვუპასუხეთ. აქ ქვეითა ჯარს იერიშები არ მოუტანია ჩვენზე. ბრძოლითა და ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით ხელახლათ დავიკავეთ რამდენიმე პოზიცია ჩვენი პირველი ხაზისა, სადაც მტერი გუშინდელს აქით გამაგრდა და დრო გამოშვებით ამო- [illegible] ტის ტყეში ბანდესანტის რაიონში.

**გავრი.** 15 ეკენ. ბელგიის ოფიც. ცნობა. გრძელდება საარტილერიო ბრძოლა ჩვენს წინ წაწეულ თხრილებზე ნიუპორტის სამხრეთით და აგრეთვე ჩვენს უმთავრესს ხაზზე დიკსმიუდესა და პადეკაპლესთან. არტილერიის ცეცხლს ჩვენ ვუპასუხეთ. ქვეითა ჯარის იერიშები არ მომხდარა.

**პარიზი.** 16 ეკენ. დღის ოფიციალური ცნობა. მოსული ცნობები საშუალებას გვაძლევს სისწორით დავაფასოთ შამპანში ჩვენი ჯარის წარმატებითი მოქმედება, რომელიც შეთანხმებულია მოკავშირეთა ჯარის მოქმედებასთან არტუაში. გერმანელებმა არა თუ მარტო დასცალეს გლრნცკის ფრონტზე ძლიერ გამაგრებული პოზიციები, რომელიც მათ უნდა შეენარჩუნებინათ უკანასკნელ ღონისძიებამდი, დიდი ზარალიც ნახეს. საერთო რიცხვით მათი ზარალი, ტყვეებით, მოკლულებითა და დაჭრილებით სამი კორპუსი ჯარის კონტინგენტს აღემატება. საერთო რიცხვი ტყვეთ წამოყვანილებისა 25000 კაცს აჭარბებს ზარბაზანთა რიცხვი 79-ია. შალონის გზით გაიარა 13055 ტყვე ჯარის კაცმა და 316 ოფიცერმა. თანდათან იცლება ბრძოლის ველი და და გრძელდება აღწერა მტრისგან დატოვებულ იარაღებისა.

სუშეს აღმოსავლეთით არტუაში ჩვენი წინ წაწევა გრძელდება და სიღრმიდი და ღამითაც მედგარი ბრძოლის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ სიმაღლემდი 140, რომელიც ბატონობს მთელ სამხრეთით მდებარე ვერდობებს. ამ ბრძოლაში ტყვეთ წამოყვანილთა რიცხვი 300 კაცს უდრის უმრავლესობა მათი ეკუთნის გვარდიის დივიზიას. შამპანში ბრძოლა გრძელდება შეუზარებლივ მთელს ფრონტზე. გერმანელების რაზმები კვლავ დაგვნებდნენ ნასიჟის ჩრდილოეთ რაიონში. ტყვეთა საერთო რიცხვი მარტო ერთ სალამოს 1000 კაცს უდრის. დანარჩენ ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. იენის სამხრეთ ჩრდილოეთით მტერმა ზარბაზნები დაუშინა ჩვენს თხრილებს. ჩვენ ენერგიულათ ვუპასუხეთ.

**პეტროგრადი.** 16 ეკენ. ოფიც. სახელის მინისტრისაგან. **ხომეტი ბანაკში ხელმწიფე იმპერატორის თავმჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს კრება.**

**პარიზი.** 15 სეკტემბერი. ხელმწიფე იმპერატორმა პრეზიდენტ პუანკარეს შემდეგი დეპეშით მიმართა: მივიღე რა ცნობა საფრანგეთის დიდებული ჯარის დიდი [illegible] შემთხვევით, რომ მოგიძღვნათ თქვენ და თქვენს ძლევა მოსილ ჯარს უგულითადესი მოლოცვა და გულწრფელი მოსურვება უცვლელი კეთილდღეობისა მომავლისათვის.

**ნიკოლოზი.**

პრეზიდენტ პუანკარემ შემდეგი დეპეშით უპასუხა: ვმადლობ თქვენს დიდებულებას იმ მილოცვისათვის, რომლითაც თქვენ ინებეთ ჩვენი ჯარისადმი მომართვა ეხლა-ახალ მოპოვებულ გამარჯვებისათვის მოკავშირეთა დახმარებით საერთო მტერზე აგრეთვე ვსთხოვ თქვენს დიდებულებას მიიღოთ ჩემი მხურვალე მოლოცვა იმ ძლევა მოსილობის შესახებ, რომელსაც ყოველ დღე იჩენს რუსის ჯარი.

**პუანკარე.**

**პარიზი.** 15 სეკტემბერი. გენერალი მარშანი მძიმეთ დაჭრილია იმედი არის, რომ სიკვდილს გადარჩება. პუანკარემ მას გადასცა დიდი ვარსკვლავი საპატიო ლეგიონის აფიცრისა.

**სტოკჰოლმი.** მიუნხენიდან იუწყებიან რომ პაპა ამზადებს ეპისტოლეს დიდ-სახელმწიფოების მიმართ, რათა ჩამოგონოს მათ სარწმუნოებისა და კაცობრიობის სახელით გამოცხადდეს ზავი საყოველთაო გარდაცვალებულთა მოსახსენებელ დღეს 2 ნოემბერს ახალი სტილით.

**ვაშინგტონი.** 16 ეკენისთვე. ამერიკის კონსულს მიუნხენში,—გაფერნის თანამდებობიდან ითხოვენ გერმანოფილური გრძნობის გამოთქმისათვის.

**ლონდონი.** 16 ეკენისთვე. თემთა პალატაში გრეიმ გამოაცხადა: სანამ ბულგარეთი არ გადავა დიდი—ბრიტანიის მტრების მხარეზე ინგლისი და მისი მოკავშირენი მის წინააღმდეგ სამტროთ ვერ გამოვლენო.

**ათენი.** 15 სეკტემბერი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის ჯარი, რომელიც შეგროვილია საბერძნეთის საზღვარზე 65000 კაცამდე, იუწყებიან მძიმე არტილერიის ჩამოტანას და მინდვრის სიმაგრეების მოწყობას. დედეაგაჩის გამაგრება დასრულდა, ნავ-სადგური შემოღობეს ნაღმებთა სამი ხაზით. კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალო ბულგარელების შეთანხმების შემდეგ ოსმალეთში შემოიტანეს დიდძალი ფქვილი და ნავთის ფასმა 75% დაიკლო.

**სოფია.** 14 სეკტემბერი სამსახურიდან გამოსვლის სურვილი განაცხადეს ტონჩევმა და ტონჩევისტმა ბაკალოვმა. დღეს მილიონოვი მეფესთან მიწვეულია.

**პარიზი.** 16 ეკენ. გაზეთ „მატენ-“ის სიტყვით ოსმალეთ—ბულგარეთის ხელშეკრულობაზე დღემდის მოაწერს ხელი მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სოფიის ქუჩებში გამოაკრეს ბრძანება მობილიზაციის შესახებ, ოსმალეთის დელეგატებმა უარი სთქვეს ხელის მოწერაზე ამ ბრძანების გამოცხადებამდის. რკინის გზის გადაცემა მოხდება 23 ეკენისთვეს, ე. ი. მაშინ, როცა ოსმალეთი და ნახავს, თუ როგორ გამოიყენებს ბულგარეთი ამ მობილიზაციას.

## ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### სად მოხდება გენერალური ბრძოლა?

სამხედრო ჟურნალ „რუსკი ინვალიდის“ შეხედულება ბრძოლის ველზე საქმეთა მდგომარეობის შესახებ ასეთია: საერთოთ რუსებმა ჩრდილოეთის მხარეზე მარჯვენა ფრთის მოქმედება გააძლიერეს და საზოგადოთ საპასუხო-შეუპოვარ დახვედრის გზას დაადგენ, რომ ნემცების წინსვლა შეაჩერონ, და ეს თანდათან ვითარდება; ასე რომ თუ გერმანელებმა თავისებური ერთხელ ამორჩეული გზით გაიწიეს და არ შეჩერდენ, მაშინ მოსალოდნელია ამ ფრონტზე მომქმედი ორივე მხრის დიდი სამხედრო ძალები ერთ მეორეს დაეჯახონ და ამნაირათ გენერალური ბრძოლა გაჩაღდეს. მაგრამ ეს მდ. ნემან—პრიპიატის ფრონტზე კი არ მოხდება, არამედ ნემან-დვინის ნაპირებზე. (რ. ვ.)

### 25 ქარხნის აფეთქება

როგორც გაზეთებით ვიცით მოკავშირეებმა, და მათ შორის რუსეთმაც შეერთებულ-შტატების ქარხნებს ბევრი სამხედრო მასალის დამზადება დაუკვეთეს. გერმანიის აგენტებმა ამის წინააღმდეგ 25 ქარხნის აფეთქება მოაწყვეს. შეერთებული შტატების პროკურორი ამ საგნის შესახებ ახლა შემდეგ ოფიციალურ ცნობას აქვეყნებს: გერმანიის აგენტებმა 25 ადგილას ქარხნებში აფეთქება მოახდინეს, რისგანაც 265 კაცი დაიღუპა. აფეთქების მიზანი მოკავშირეებისგან დაკვეთილ სამხედრო მასალის დამზადების შეჩერებაა. (ქ. ს.)

### გერმანიის წყალ ქვეშა ნავები შავ ზღვაში.

როგორც გაზეთების ცნობებიდან სჩანს ბულგარეთის ნავთსადგურებში შავ-ზღვაზე ბურგასში და ვარნაში—გერმანიას წყალ-ქვეშა ნავები ჰყავთ გამზადებული. ვ. ვ.)

### ბულგარეთის წინააღმდეგ

გაზეთებს აუწყებენ, რომ ოთხთა შეთანხმებამ გადაწყვიტა ბულგარეთის წინააღმდეგ 150 ათასიანი ლაშქარი გაგზავნოს [illegible] ჯერ კარგათ არ იციან, მიიღებს რუსეთი ამ გალაშქრებაში მონაწილეობას, თუ არა. რ. ს.

### გერმანიის დაპირება.

გერმანიის დიპლომატია, ბულგარეთის მეფეს, ფერდინანდს პირდება, რომ გამარჯვების შემდეგ მას ბიზანტიის მეფეთ გამოაცხადებენ, ხოლო ოსმალეთს ეგვიპტით დააკმაყოფილებენ. (რ. ს.)

### ბულგარელ რუსოფილის ლაშქარი.

ბულგარეთის ოპოზიცია ამ ბოლო დროს დაიხრა და [illegible] წოდებს, რომ [illegible] თავი გაანებოს, ამბობენ, რომ ბულგარელ პარლამენტარების ლიდერმა რუსოფილმა, ვასოვმა ოპოზიციას უღალატა. ახლა ის მთავრობასთან მორიგებას ქადაგებს. (რ. ვ.)

### დესანტი გადასხეს.

მოსკოვში ცნობა მიიღეს, რომ მოკავშირეებმა სალონიკში (მაკედონიის ნავთსადგურში) დესანტი გადასხეს. თ. ვ.

### ბალკანეთი საომრათ ირაზმება.

საბერძნეთმა 380 ათას ჯარის კაცს მოუყარა თავი; რუმინიამ საომრათ გამზადებული თავისი ჯარის ერთი ნაწილი ბულგარეთის საზღვრებისაკენ გაგზავნა. (რ. ს.)

### ქ. პინსკი დაიკავეს.

მინსკიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ ქ. პინსკში ნემცების ცხენოსანი რაზმი 3 სექტემბერს შევიდა. მტერს სამხედრო დავლა ნაკლებათ დახვდა (რ. ს.)

### მტერი პინსკს მიუახლოვდა.

გაზეთებს დეპეშით აუწყებენ, რომ ქ. მინსკის „დალა“ დაიწყო. (ქ. ს.)

### კუროპატკინი ახალ პოსტზე.

როგორც „მოსკოვსკია ვედომოსტი“ იტყობინება კუროპატკინი, რომელიც მომქმედ ჯარში სამსახურს თხოულობდა, გრენადერთა კორპუსის სარდლათ დანიშნეს.

### ბულგარეთი და სერბია.

როგორც გაზეთებს აუწყებენ გერმანიის გაზეთების გადმოცემით ბულგარეთმა ულტიმატუმი წარუდგინა სერბიას. რუმინია და საბერძნეთი კი ნეიტრალიტეტს დაიცვენო. (ქ. ს.)

## ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### არეულობა ქ. ასტრახანში.

გაზეთებს ასტრახანიდან ატყობინებენ, რომ იქ 9 სეკტემბერს არეულობა მოხდა: ღატაკთა ბრბოები შეესიენ მაღაზიებს და დუქნებს: სადაც კი სანოვაგე, ტანისამოსი, და სხვა რამ აუცილებელი საჭირო ნივთები მოახელეს სულ დაიტაცეს. ქალაქის საბჭომ მოწოდებით მიმართა ხალხს და დაწყნარება სთხოვა. რამდენიმე ასეული კაცი დაატუსაღეს: ბევრს გატაცებული ნივთები ამოუჩინეს. (რ. ს.)

### წინასწარი ცენზურის შემოღება.

პეტროგრადიდან მოსკოვის გაზეთებს

## ქართველი გრიგორიანები თფილისში.

(დასასრული იხ. „სამშ.“ № 175).

ასეთ გვარების მოყვანას რომ გავყვეთ, მაშინ აქ მოვიყვანდით ათასს, ორი ათასს და მეტსაც. მოვიყვანთ ისეთ ცნობებსაც, რომელიც ცხად ჰყოფს, რომ ქართლი და კახეთი სავსე არის ქართველ სომხებით. ამათ რიცხვში არიან ისეთი გვარის პირებიც რომელთა გვარებიც ზოგი, „ძე“-ზე და ზოგიც „შვილით“ ბოლოვდება. ასეთების რიცხვი ქართლსა და კახეთში იმდენი არის, რომ მათის ცნობით კაცი გაკვირდება. მაგალითისთვის დავასახელებ შემდეგს:

მერაბაშვილები. რაჭაში მთელი სოფელიც კი არის ამ გვარით დასახლებული. თფილისში მცხოვრებნი მერაბაშვილები სომხობას დაუკავშირდნენ 1795 წ. დღეს მათი შთამომავალნი იწოდებიან მერაბიანცად.

ფარსადანაშვილები. დღეს ფარსადონოვებათ არიან წოდებულნი. გადასულნი არიან გრიგორიანობაზე 1795 წ. თფილისში. ფარსადანა ქართული სახელია, იგი იხმარება უფრო რაჭაში.

წამალაშვილები. სომხობას დაუკავშირდენ ამავე დროს და ცხოვრობენ კუკიაში.

საკაძეები. გადასულნი ამავ დროს თფილისში, ზოგს ძველად კათოლიკობაც მიუღია. შემდეგ ორ ფრანგ საკოვს გრიგორიანობა მიუღია. ყველანი ქართველ გვარისანი არიან, დღეს ესენი საკოვათ იწოდებიან თფილისში.

გვარების მოყვანით თავს ნურავის შევაწუხებთ. ეს თუ საჭირო იქნება, მაშინ შეიძლება ათასობით მოვთვალოთ ასეთი გვარები, მაგალითებრ თფილისში არიან შემდეგნი:

ედილაშვილები,—ედილიანცი.

დარჩიაშვილი,—დარჩიანცი.

სოსიაშვილი,—სოსიანცი.

მარკოზაშვილები,—მარკოზოვები (სოფ. ნეფარეულელნი).

ელბაქიანცი. კუკიაში სცხოვრობენ ელბაქიძეები. XVIII საუკ. ერთი ამათ გვარის წევრთაგანი ელბაქიანცად იწოდება.

მამუკოვი—სომეხი თელავში.

ტატიშვილი—ტატიანცები. (დაკავშირებულან გრიგორიანობას XVIII საუკუნეში)

იტრიაშვილი—ფ ამინის ქუჩა. გორის მაზრიდან. ამ გვარს სოფელ იტრიასთან კავშირი აქვს.

ეს მაგალითებიც საკმაოა იმის დასამტკიცებლათ, რომ ბევრი ქართველი ოჯახი დაკავშირებია გრიგორიანობას მე-XVIII საუკუნეში და შემდეგაც.

### ზეპირი გადმოცემა საგუთებით.

ბატონიშვილების, მღვდლის, მელითაურის, სარდლიანთ მწიგნობარის, დავით ამერიბისა და აქტიორის იოსებ ელიოზოვის მიერ ნაამბობი 1850 წელს:

„1795 წ. ომის შემდეგ, თფილისი დაცარიელდა. მტერმა დასწვა სამი ხიდი და მასთან მთელი ქალაქი, დააქცია და დასწვა ისეთი საყდრებიც-კი, რომელიც თლილის ქვით იყო აშენებული. ამ დროს ოცზე მეტი საყდარი დაუქცევიათ ქართველების. გადარჩა მხოლოდ: მეტეხი, ჯვარის მამა, სიონი, ანჩხატი და ქაშვეთი. დანარჩენი სულ მოისპნ. სომეხთა საყდრები უვნებლათ გადარჩა, მხოლოდ შიგ დამალულნი კი ამოსწყვიტეს. ასე გაგძელდა საათ ნახევარს. დამალულები ეუბნებოდნენ: სამხები ვართო, მაგრამ სპარსელებმა არ შეიწყნარეს მათი განცხადება.

— სომეხი თუ იყავ, რაღათ იმალებოდი აქაო? ამ დროს გადარჩა მხოლოდ საათთოვეს ცოლი, მარიამა.

სიკვდილის შიშით ბევრი ქართველიც ამბობდა, სომეხი ვარო. მტრის წასვლის შემდეგ ქართველთ ეკლესიები უპატრონოდ იყო. ხუცები არსად იყვნენ, ყველა გასული იყო შიშით, ვინც თფილისში დარჩა, ზოგნი ტყვეთ წაიყვანეს სპარსეთში და ზოგნიც ომში დაიხოცნენ. ქართველთაგან ვინც კი მტერს გადარჩა, სომხის ეკლესიაში იწყო სიარული.

დოსითეოს ფიცელაურისაგან ნაამბობი, რომ ამ დროს ჩუღურეთში, კუკიაში, შავ სოფელში, ვერაზე და ავლაბარშიც ძალიან ბევრმა ქართველმა მიიღო სომხთა სჯული. ყველა ქართველი ასე ამბობდა: ოღონდ ქრისტიანები ვიყოთ და სჯული, რომელიც უნდა ის იყოსო. მარტო შუაგულ ქალაქში ას კომლზე მეტმა ქართველმა აღიარა თავი სომხებათ. განაპირა მცხოვრებთა რიცხვი კი ორჯერ მეტი იქნებოდაო. რაც შეეხება სოფლებს, იქაც თითქმის მთელმა სოფლებმა იწყეს გადასვლა. ამას გარდა საყდრებიც თვით გადაპქონდათ თფილისში. მათგან რამდენიმე საყდარია დაარსებული: ერთი მეტეხის თავზე, მეორე მოედნის თავზე და მესამეც შუა ბაზარში. სოფლებშიაც ასევე მოხდა. თელეთიც ამ დროს გადასულა. მტრის გასვლის შემდეგ მხოლოდ ერთი წლის თავზე თფილისში შემოსულან ქართველთა მღვდელნი. სიონის კანდელაკი ბევრს სცდილობდა სიონის მრევლის შეკრებას, მაგრამ ვეღარავინ შეუკრებია, დახოცილთა და ტყვეთ წაყვანილთ გარდა, ვინც უფილან დარჩენილნი, იგინი სულ სომხებათ იყვნენ გადასულნი.

სომხებათ გადასულთ ამაგრებდა თურმე ის გარემოებაც, რომ მათ მტრის წინ ფიცი ჰქონდათ მიცემული, რომ ჩვენ სომხები ვართო, თავის გადარჩენის შემდეგ იგინი უკვე სულიერად დაკავშირებულნი იყვნენ სომხობას. ფიცის გატეხა მეტად ემძიმებოდათ. მეორეს მხრით ეშინოდათ იმ გარემოებისაც, რომ მტერი (აღა მაჰმადხანი) მეორედ აპირებს მოსვლას თფილისზედ და ამიტომ შიში არის, ქართველებს ყველას დახოცავს და აბა რა ძალა გვადგა, რომ ჩვენც მტერს თავი მივსცეთ ხელშიო. ამ საბით თურმე 1795 წ. დიდძალი ქართველობა მოსცილდა თავის სჯულს და შეუერთდა სომხობას. ამ დროს არიან გასომხწულნი ლაზარეშვილები, მაისურაძეები, მერაბიშვილები, რამილიკულაშვილები და მრავალნიც სხვანი.

ეს არის ნამდვილი ისტორიული მომხდარი ამბავი.

დავით მოურავის და მოურავის ბაქრაძის ნაამბობი:

„სამშვილდეს მთელად ქართველთ სოფლები იყო, ამ სოფლის მებატონენიც ორბელიანები იყვნენ, ზოგის ბარათოვები და მასთან სხვანიც. ყველა ამ სოფლის ქართველნი დიდს გაჭირვებაში ჩავარდენ, მტერი მუსრს ავლებდა, შველა არსიდამ იყო. გლეხკაცობა უპატრონოდ დარჩა. მტერი გურჯებს სიკვდილით ემუქრებოდა. ეს ყველამ კარგად იცოდა, ამიტომ ზოგ სოფელში ქართველთ თავი სომხათ აცნობეს და ამით გადარჩენ სიკვდილს. თუ ეს გარემოება არა ყოფილიყო, მტერი სულ გასწყვეტდა მათ. ზოგიც ტყვეთ წაუყვანიათ, ზოგიც დაუხოცავთ, ვინც კი გადარჩა, ეს იმის წყალობით, რომ თავი სომხათ აღიარესო. ბოლნისის სიონი და ბევრიც სხვა საყდარი მტერს სომხის საყდრებათ აჩვენეს და ამიტომაც იგინი არ დასწვეს. იმ დღიდან ეს საყდრებიც სომხების საკუთრებათ არის, როგორც, მაგალითად ბოლნისის სიონი და სხვანი. თუმცა ამ სოფლების ხალხი ადრეც გასომხებულან, მაგრამ აღა მაჰმადხანის დროსაც მრავლად გადასულან [illegible].

მამანი იცოდა ხოლმე, რომ ჩვენი ყმებიც სამი წილი სომხებათ გადავიდა და მით გადირჩინეს თავიო. ჩვენ ამის თვის მათ უმადლიდით კიდეც, თორემ სულ დაიხოცებოდნენ და ყმებიც სულ მოგვესპობოდაო. ასეთი ქართველები დიდხანს თურმე ორი სჯულის წესებსაც ადიარებდნენ, მაგალითად, პირჯვარის წერაც კი მათ ვერ ისწავლეს სომხურათო, მარცხენა მხარეზე ხელის წაღება პირველად გადასულთ ეხამუშებოდათო. ამას გარდა ქართულ მარხვებსაც ინახავდნენ და სომხურსაცო. ქართულ უქმეებსაც დღესასწაულობდნენ და სომხურსაც. როგორც მაგალითად, შობას, გიორგობას და სხვა.

ამის შესახებ ქართლის სოფლებში მე მქონდა ზოგიერთ ქართველ მღვდლებთან ლაპარაკი, მათ სთქვეს, რომ ქართლის სომხებში არიან ისეთი გლეხები, რომელნიც ქართველ გვარებს ატარებენო, ადრე იგინი ქართველები ყოფილან, მერე სომხობაზე გადასულანო. დღემდის მათ პირჯვრის წერაც კი ვერ უსწავლიათ სომხურად და ქართულად იწერენ პირჯვარსო. ასეთი სომხები კახეთშიაც მრავლად არიან სოფლებში და სამშვილდეშიაც.

ყოველივე ასეთი წვრილმანი ისტორიული ცნობები ჩვენ ცხადათ გვიმტკიცებს იმ ჭეშმარიტ გარემოებას, რომ საქართველოში, ქართველთ შორის არიან ისეთ ქართველნიც, რომელნიც შთამომავლობით, ენით, ისტორიით ქართველები არიან, ხოლო სარწმუნოებით გრიგორიანები. ამას ასაბუთებს თვით ქართველთ სომეხთა ცხოვრება და იმდენის ხნის ერთად ყოფნა, ერთად ცხოვრება და სხვაც ბევრი რამ მჭიდრო ცნობები ამ ხალხისა.

დღეს კი საქართველოში, ქართველ გრიგორიანთ შორის, სჩნდებიან ისეთი პირები, სომეხი გვარის მოყვარენი, რომელნიც ამ გრიგორიანებს უქადაგებენ, რომ თქვენ ნამდვილ სომხის შთამომავალნი ხართო, ხოლო დროის განმავლობაში წყა-

...ტყობინებენ, რომ მთავრობამ გადაწყვიტა წინასწარ პოლიტიკური ცენზურის შემოღების კანონპროექტი 87 სტ. ძალით გაიყვანოს. ამ კანონ-პროექტის გულმხურვალე მომხრეა გორემიკინი. შედგენილია პეტროგრადის ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტის თავჯდომარის, ვისარიონოვის მიერ. კანონპროექტი მინისტრთა საბჭოს 13 სექტემბრის სხდომაზე უნდა განიხილონ. კანონპროექტით ყოველ გვარი დასაბეჭდი მასალა წინასწარ ცენზურამ უნდა განიხილოს და ნება დართოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორმა ან გამომცემელმა 3000 ჯარიმა უნდა გადაიხადოს. ცენზურის წარმოებას ადგილობრივ საცენზურო კომიტეტებს და ინსპექტორებს მიანდობენ. ამ ამბების გამო პეტროგრადის გაზეთების რედაქტორებს თათბირი გამართეს და დაადგინეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს, თავად შჩერბატოვს სთხოვონ, ნება მისცეს მათ მასთან აუდიენციის გამართვისა, რათა ამ გზით ბეჭდვითი სიტყვის შევიწროების გამო პროტესტი განაცხადონ. ამას გარდა რედაქტორების თათბირმა დაადგინა გამართოს კიდევ მეორე თათბირი, რომელზედაც მოწვეულ იქმნებიან მოსკოვის და ზოგი სხვა პროვინციალური გაზეთების რედაქტორები.

(კ. ს.)

## ქართული პრესა.

ქუთათურ ვაჭრების შესახებ საქართველო სწერს:

> ქართველ ვაჭართა შორის პირველი ადგილი ქუთათელ ვაჭრებს უნდა მიეკუთვნოს თავიანთი პროფესიის შეგნებისა და სათანადო ორგანიზაციის შეკვრის მხრივ. კარგა ხანია რაც ქუთაისში შესდგა ვაჭართა საზოგადოება, რომელიც მთავრობისაგან დაკანონებულია და რომელსაც შემუშავებული აქვს მოქმედების პროგრამაც. წესდების ძალით, (წესდება ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოებისა) ხსენებულ საზოგადოებას უფლება აქვს იღვაწოს საკომერციო ცოდნის გასავრცელებლად. ამ მიზნის მისაღწევად, იგი ხსნის შესაფერ სკოლებს, მართავს ლექციებს, ადგენს კავშირებს, აარსებს სათანადო მუზეუმებს და სხვა და სხვა. საზოგადოებას არჩეული ჰყავს ცხრა კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც ევალება საქმის გაძღოლა და ჩამოთვლილ ღონის-ძიებათა თანდათანი განხორციელება.
>
> . . . . . . . . . . . . . . . . . .
>
> ქუთათელმა ვაჭრებმა, როგორც წოდებამ, როგორც კოლექტიურმა პროფესიულმა ერთგვარობამ ამ მხრივ ძველ ტრადიციასთან კავშირი გასწყვიტა და თავის ჯიბიდან ფული გაიღო იმ მიზნით, რომ თავიანთ შვილებსა და ქვეყანას, რომელსაც იგი ამ შემთხვევაში თავისი ახალ-შეგნების თვალით ზომავს ზომავს, დაუარსოს არა გიმნაზია, რომელზედაც დიდი ხანია, რაც ქართველი საზოგადოება შეიშალა, არამედ საშუალო ტიპის საკომერციო სასწავლებელი. სჩანს, ქუთათელმა ვაჭრებმა სკოლის საქმე თავის "ვიწრო ჯგუფურ საქმედ მიიჩინეს; აქ მარტო საპროფესიო მხარე დაინახეს და სრულიად მიივიწყეს ეროვნული მომენტი.
>
> ამის წინააღმდეგ მთელი შეგნებული ქართველობა უნდა ამოქმედებულიყო, უნდა შექმნილიყო ერთი მტკიცე, ურყევი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ქვეყნის მბრძანებელია მუდამ ჟამ, და ეს ახალი ტიპის სკოლა ნამდვილ ეროვნულ სკოლად გაეხადნათ. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი სთვლემს, შეგნებული ქართველობა უფხოა, უმოქმედობის ინერციამ იმსხვერპლა იგი, ხოლო ქუთათელი ვაჭრები თვით ვერ გასცილდნენ საპროფესიო ინტერესის მოთხოვნილებას, ვერ ამაღლდნენ ისე რომ შეეგრძნოთ ეროვნული ნაკლი და საჭიროება. მათ მიერ დაარსებული სკოლა, მხოლოდ პროფესიულია და არა ეროვნული.
>
> . . . , . . . . . . . . . . . . . .
>
> ეს-კი შეუწყნარებელი ღალატია ქვეყნისა და მომავალ თაობათა წინაშე. კერძო სასწავლებლებში გასულ წლის ივლისის კანონით შეიძლება ყველა საგნის სწავლება სამშობლო ენაზე. ვისარგებლოთ ამ უფლებით, ნუღარ ვიქნებით უშნონი, ღატაკნი სულით და უბადრუკნი მოქმედებით! წავიმძღვაროთ წინ ეროვნული სანთური და მით განვინათოთ ყოველდღიური საქმიანობის სავალი გზა.
>
> ეროვნულ კულტურის მომავლის სახელით მოვითხოვთ, ქუთათურმა ვაჭრებმა გადასინჯონ თავიანთი მოქმედება და თავიანთი ახალი საქმე ეროვნული სულით გააცხოველონ, და არ გახადონ იგი ეროვნულ გადაგვარების ახალ კერად- ჯერ კიდევ დროა!

შეუძლებელი ქვეყნათ არა არის-რა, მაგრამ ვეჭვობთ რომ „საქართველოს" კეთილ აზრებს ჯერ-ჯერობით ანგარიში გაუწიონ, ქუთათური ვაჭრები იქნებიან ესენი, თუ საქართველოს სხვა ქალაქებისა.

საუკუნოებით შექმნილი ხასიათი და აზროვნება საუკუნოებითვე ინგრევა და ჯერ ბევრი დრო გავა, ვიდრე ქართველი ხალხი, როგორც ეგეთი—გამოერკვეოდეს იმ ბურუსიდან, რომელიც შემოეხვია მას უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში.

თუ ამას დავუმატებთ იმ მერკანტილობასაც, რომელიც დაპატრონებია ჩვენი ხალხის უმრავლესობას, დავეთანხმებით, რომ მართალი უთქვამთ ჩვენ ძველებს:

**„წამხდარსა, ხაქმეს რას არგებს, მერმედა თითზე კბენანი"..**

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ სამინისტრომ დაამტკიცა ქუთაისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა ქალაქის პოლიციის შესანახ თანხის შესახებ. ამის მიხედვით მთავრობისაგან მიეცემა ქალაქს ნახევარი იმ თანხისა, რაც იხარჯება პოლიციელებს შესანახავათ.

✦ ქუთაისის ქალაქის წევრი, რომელიც განაგებს ომში გაწვეულ მეომართა ოჯახებისათვის სახაზინო დახმარების დარიგებას, ამით აცხადებს რომ „პაიკის" დარიგება მოხდება 17 სექტემბერს ორი კვირის განმავლობაში დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდი ქალაქის გამგეობის დარბაზში.

✦ 14 სექტემბერს გოკიელოვის სავაჭრო მაღაზიიდან პარმენ და ალექსი მეშველიშვილებმა მოიპარეს 12 გირვანქა შაქარი და 6 ნაჭერი საპონი. ბოლოს გამზრახველები ადგილობრივ დარაჯის მიერ დატუსაღებული იქნენ.

✦ ქუთაისის ქალაქის საქმეთა საკრებულო წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას წარუდგინოს ხარჯთ-აღრიცხვა 1912, 1913, 1914, წლების და მასთან ახლი სარევიზიო კომისიის დადგენილებისა.

✦ სახელმწიფო ქონებათა სამართველოში 21 ეკენისთვეს, დღის 12 საათზე, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება რაჭის მაზრის გლონსკის" დაჩის 6000 ფიჭვის ხე. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარადგინოს 10%-ტი.

✦ ს. მექვენის (ლეჩხუმის მაზრა) ადგილობრივ წვრილი კრედიტის გამგეობას აზრათ აქვს გადასდვას საჭირო თანხა, არჩილ ჯორჯაძის სახელობის მომავალ უფასო სამკითხველოს შესანახათ, იმ წმინდა მოგებიდან, რომელიც დარჩა ბანკს წარსულ წელს. სამკითხველოს ნებართვის შესახებ გამგეობის რწმუნებულმა ამბაკო რაზმაძემ უკვე აღძრა შუამდგომლობა.

პასუხის მგებლობა მთავრობის წინაშე ამავე რწმუნებულმა იკისრა.

✦ ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელი 1915 წლისათვის გადააკეთეს უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლათ.

✦ როგორც ს. ჩიბათიდან (გურია) გვწერენ, არსებული სამრევლო სასწავლებელი ზოგიერთების დაუდევრობის გამო, წელს დახურეს.

✦ 15 ეკენისთვიდან ქ. ბათომის ქართულ სკოლაში მეცადინეობა უკვე დაიწყო.

✦ ს. მექვენის (ლეჩხუმის მაზრა) მკვიდრმა მცხოვრებმა პიმენ ასათიანმა სპილენძის მადნის ძებნის დროს იპოვნა ძველი დროის ქვის იარაღები. ინჟინრების აზრით, ის უნდა ეკუთვნოდეს უძველეს დროის ქვის ხანას. ასათიანს აზრათ აქვს ნაპოვნი იარაღები გადასცეს ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

✦ ლეჩხუმის მაზრის ხხვადასხვა სოფლიდან გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს აცივდა და მოსავალი სრულიად გააოხრა, განსაკუთრებით მთებში თითქმის მოსავალი მოუყვნა. მამულიც ცუდ მოსავალს იძლევა.

✦ ს. დერჩის რკინის ხიდის ასაგებათ მთავრობამ 11000 მან. გადასდვა. ხიდის გაკეთებას ამ მოკლე ხანში შეუდგებიან. საჭიროა, დაჩქარდეს ხიდის გაკეთება ვინაიდგანაც ჯერ არს, რადგანაც ეს 10 წელიწადია უხიდობის გამო მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან.

✦ 17 სექტემბერს ქ. ქალაქის თავის ი. შ. ჩიქოვანის მონდომილობით ბაზრის ზედამხედველის თანაშემწე კორძაიამ და ბოქაულმა ავალიანმა შენახული შაქარი უპოვეს შემდეგ პირებს: მელაშვილს 12 ფ. დამტვრეული 194 ფ. თავი შაქარი, 35 ფ. ფხვნილი ქებაძეს 400 ფ. ნახეს კანტორაში შენახული 46 ფ. თავი შაქარი 35 ფ. ფხვნილი ბახტაძეს და კილასონიას 6 ფ. დამტვრეული 190 ფ. თ. შ. 120 ფხვ. ძმ. კუზანოვს 15 ფ. თავი შ. 22 ფხ. ეზიკოვს 9 ფ. თავი შ. 100 ფ. ფხვნილი დებეგრს 500 ფ. თავი შ. ჭედიძეს 100 ფ. თავი შ. ჯანელიძეს 260 დამტვრეული შაქარი 15 ფ. თავი და 650 ფხვნილი. და კიდევ დაუგეტეს სარდაფი. დიდიძალი შაქარი აღმოაჩინეს „სევერნის ნომრების" ქვედა სართულში ვისია ჯერ არ იციან. სულ შაქარი 2000 ფუთამდის ქონიათ გაჭრებს ქუთაისში და განგებ მალავდნენ.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ 15 სექტემბრის კრებაზე შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა მათ იმპერატორობით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და მეფის მოადგილეს კავკასიაში დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

**ბანაკი. მის იმპერატორობითი უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორს.**

ვიხრით რა ქედს თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის გადაწყვეტილების წინაშე, რომელი გადაწყვეტილების ძლითაც თავს იდეთ ზღვისა და ხმელეთის შეიარაღებულ ძალთა, მთავარსარდლობა, ქუთაისის ქალაქის საბჭო და მასთან დასავლეთ საქართველოს ძველი სატახტო ქალაქ ქუთაისის მთელი მცხოვრებნი ბედნიერი ვართ განვართხოთ თქვენის იმპერატორობითის უდიდებულესობის ფერხთ ქვეშ აღმაფრთოვანებელი და უკვეშევრდომილესი გრძნობანი. დიდი და მოწყალე ღმერთი, რომელიც მრავალი საუკუნოებით იფარვიდა წმინდა რუსეთს და აძლევდა მას გამარჯვებას თავის მტრებზე. დიადია რუსის ხალხი თავის უძლეველ წინამძღოლთა მეთაურობით, რომელნიც აკვირვებდენ მთელ ქვეყანას თავის სასწაულებრივ სიმამაცით და პატრიოტული თავგანწირვით. ქუთაისის მცხოვრებნი და მასთან მთელი ქართველი ხალხი, რომელიც მარად გამზადებულა საერთო სამშობლოს რუსეთის სასხვერპლოზე მიიტანოს ყ [illegible] ლი, და მათ დარწმუნებული, რომ [illegible] ხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა [illegible] მძლე ნებლობით შეერთებული რუსეთი დაამარცხებს ანგარებით აღსავსე და კადნიერათ გამყებულ გერმანელებს, რომლებიც თავხედურათ უგულებელ ჰყოფენ ხალხთა ეროვნულ თავისუფლებას.

დიდო ხელმწიფევ! ჯვაროსანი საქართველო დარწმუნებული შეჰყურებს და შესთხოვს ყოვლად შემძლებელს, რომ მიანიჭოს სწრაფი და გადამწყვეტი გამარჯვება რუსის ჯარს, რომლის წინამძღოლათაც ბრძანდება თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა.

**პეტროგრადი.** მათ იმპერატორებითი უმაღლესობას დიდ მთავარს **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს**, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის მოადგილეს კავკასიაში.

ქუთაისის ქალაქის საბჭო, რომელიც გამოხატავს არა მარტო ქალაქ ქუთაისის, დასავლეთ საქართველოს ამ ძველ დედა ქალაქის ჭეშმარიტ სულის კვეთებას, არამედ მთელი ქართველი ხალხისასაც, ბედნიერია, მოულოცოს თქვენს იმპერატორებითი უმაღლესობას და გამოსთქვას თავისი უერთგულესი გრძნობა უსაზღვრო სიხარულისა, თქვენი უმაღლესობის კავკასიაში მეფის მოადგილის, დიდისა და პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. ხედავს რა ამ მრავალ მნიშვნელოვან სიყვარულით აღსავსე ხელმწიფის უმაღლეს აქტში განსაკუთრებულ ყურადღებას კავკასიის მხრისადმი საზოგადოთ და კერძოდ საქართველოსადმი, ქართველი ხალხი დაიმედებული შესცქერის ნათელ მომავალს, როგორც ჯილდოს ბრძოლის ველთ ქართველთაგან დანთხეულ სისხლისას და აღფრთოვანებულია იმ იმედით, რომ თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა აასრულებს ხალხის დიდი ხნის ნატვრას მის ეროვნულ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ ფართო ადგილობრივ პოლიტიკური თვითმართველობის მინიჭებით. ამ იმედს ქართველ ხალხში აღრმავებს მტკიცე რწმენა იმისა, რომ მაღალმოწყალე და გამამხნევებელი მოწოდება პოლონეთის ხალხისადმი, რომელიც ჰპირდებოდა მას ფართო თვითმართველობას, გამომდინარეობს თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობის ღრმა რწმენიდან, რომ სასიკეთოდ და გასაერთიანებლად რუსეთის ძლიერებისა საჭიროა ფართო თვითმართველობა ერებისთვის. დიდ შედეგების მოლოდინში, ქართველი ხალხი, რომელიც არივითარ მსხვერპლს არ ზოგავდა აქამდის, მომავალშიაც მზათ არის სწიოს უღელი ომისა, ბედნიერი და ამაყი იმ შეგნებით, რომ მისი ბედი აბარია თქვენს იმპერატორებითი უმაღლესობას, რომელმაც მოიხვეჭეთ მსოფლიო სახელი სარდლისა და პოლიტიკოსისა. უზენაესმა ძოგმადლოთ ჯანმრთელობა და ძალა დაათრგუნათ მტრებისა და წარსამართად იმ ქვეყნის მოქალაქობისა, რომელიც თქვენ გაბარიათ.

## პროვინციის ცხოვრება.

### ქ. გ ო რ ი.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კვირას, 6 ეკენისთვეს ქ. გორის თვითმართველობის დარბაზში შესდგა თათბირი მაზრის საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენლებთა და სხვათა სოფლის მოჭირნახულეთა და გულშემატკივართა თანადასწრებით. თათბირი მოწვეული იყო გორის წვრილ საკრედიტო ამხანაგობის ბანკის საბჭოსა და გამგეობის მიერ. თათბირის დანიშნულება იყო გამოერკვიათ ქართლის სოფლების მცხოვრებთა ეკონომიურად გაჭირვებული მდგომიარობა და გამოენახათ სახსარი დახმარებისათვის. დიახაც საჭირბოროტო საკითხი იყო წამოყენებული და ამიტომაც თათბირს მრავალი წევრი დაესწრო. აქ იყვნენ თითქმის მთელი მაზრის საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელნი, მოშუამავლე მოსამართლე, ქალაქის თავი, საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე, ექიმები და სხვა ინტილიგენცია. თავმჯდომარედ იყო არჩეული წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბატონი გრიგოლია, მდივნად მეხილეობის ინსტრუქტორი შ. ჯავახიშვილი. თავმჯდომარე ხსნის კრებას და აკეთებს მცირე მოხსენებას წვრილი კრედიტის წარმატებითი მსვლელობის შესახებ და ახლო მომავლის

ლობით გაქართველებულხართო. ამის გარეშე თვით ქართულ წერა-კითხვის შესწავლასაც უკრძალავენ და ქართველ გვარებსაც კი სომხურათ უკეთებენ ისე, რომ მასში ქართულის ენის ხმა სრულიად ისპობა. ამის მაგალითები ბევრია მაგ., ხუციშვილი—ხუციანცი, რაკი სიტყვა ქართული ხუცი ამოვარდა, ამიტომ სომხურად გადასთარგმნეს და გამოვიდა ტერტეროვი. ასევე მეწიგნეს ბუკინისტ ქართველ გრიგორიანს გორგაძეს გადუკეთეს გვარი გორგაზიანცათ. ნახეთ მისი მაღაზიის კიოსკი თფილისში და ამაში ცხადათ დარწმუნდებით. ასევე იყო მერაბაშვილების საქმე და სიტყვა მერაბის ამოვარდნის გამო მეგრაბიანცი უწოდეს. ლაზარეშვილი გადააკეთეს ყაზაროვათ და სიტყვა ლაზარე მოსპეს. ასევე გადააკეთეს შიოევის გვარიც, მაგრამ ამგვარის წევრნი სრულიად მოისპნენ და ამიტომ ეს ქართული სახელი შიოც დარჩა ქართველ—სომხის გვარის საკუთრებათ.

გრიგორიანობა დღეს ისლამივით ქართველ გვარს, ანუ ნაციას მკაცრად სპობს და სჭამს.

ქართველები როგორც ოსმალ-სპარსელებს სძულდათ, ისევე სძულდათ ლეკებსაც. ლეკებმა კარგად იცოდნენ ქართველთ გმირობა, ამიტომ, სადაც კი ჩაიგდებდნენ ქართველ კაცს, იქ იმას ცოცხალს არ დასტოვებდნენ, ან ოსმალეთში უკრავდნენ თავს და გაჰყიდდენ, ან და ადგილობრივ გაათათრებდნენ, ან თვით ტყვეს დიდის საფასით თავი უნდა დაეხსნა, ან არა და თავი სხვა სჯულისად უნდა ეჩვენებინა, თორემ სულ ერთი იყო, მას ცოცხალს არ დასტოვებდნენ.

ასეთ გარემოებაში მყოფი ტყვენი სარგებლობდნენ იმით, რომ თავს სომხათ აღიარებდნენ და ამ ხერხით ლეკთაგან თავს გადირჩენდნენ ხოლმე. ეს ხდებოდა არამც თუ ტყვეობაში, არამედ ადგილობრივ იმ დროსაც კი, როცა ლეკნი რომელიმე სოფელს ეცემოდნენ და ტყვენი მიჰყავდათ.

ლეკებს სომეხნი ისე არ სძულდათ, როგორც ქართველები და არც ტყვეთ მიჰყავდათ.

ქართველებმა ეს გარემოებაც კარგად იცოდნენ, ამიტომაც ყოველ თავდასხმისა და დაცემის დროს ქართველნი თავს სომხათ იწოდებდნენ ხოლმე და ამ ხერხით თავსა და ქონებასაც იხსნიდნენ.

მაგალითად, კახეთის სოფლებში, რაც კი სომხის სჯულის ქართველნი ცხოვრობენ, იგინი ყველანი ქართველები იყვნენ, ხოლო სხვა და სხვა თავდასხმის დროს ლეკთა წინაშე თავი სომხათ აღიარეს და მით გადარჩნენ ტყვეობას. რაკი ესენი ლეკთა წინაშე სულიერად იფიცავდნენ, რომ ჩვენ სომხის სჯულისანი ვართო, ამიტომაც ესენი შემდეგაც მკვიდროდ რჩებოდნენ ამ სჯულზედ და აღარც იცვლიდენ, რადგანაც ლეკების მუდმივათ შიში ჰქონდათ.

ამიტომაც არის რომ ქართლსა და კახეთში ერთი გვარის ქართველნი ორი სჯულის არიან. მაგალითად, ერთ სოფელში ცხოვრობენ პაატაშვილები. რამდენიმე კომლი ამათგან სომხის სჯულის არის და რამდენიმე ქართველის. ასევე არის სულხანიშვილები, ზოგი სომხის სჯულს აღიარებს, ზოგი ქართველისას, თუმცა ორივე ქართველები არიან. ამათი დედა ენაც ქართული არის, ქვეყანა, ანუ სამშობლო, საქართველო, მაგრამ სჯულის გამო გაყოფილან და ერთმანეთისაგან გაცალკევებულან. ამ გაცალკევებას დახმარებია სომეხთ სამღვდელოების ცდაც და მათ დარქმევით სხვა სახელები მაგალითად ერვანდ, სუმბატ, ტიგრან, რუბენ, გეურქ, პოღოს, სედრაკ, ოჰანეზ, გრიქურ, ავეტიქ და სხვა რასაც იგინი ერთმანეთისაგან გაუცალკევებია. ზოგს მათგანს თვით გვარებიც კი შეუცვალეს. მაგალითად, ლეკიანობის დროს, თფილისელ სულხანიშვილებს უთქვამთ, რომ ჩვენ სომხები ვართ, ჩვენი გვარიც ჩოპანეზოვი არისო. მას შემდეგ ამათ, მთლაც, გვარად ოჰანეზოვები დაერქვა და სჯულითაც გასომხდნენ, ასეთი გასომხებული ოჰანეზოვები დღეს თფილისშიაც ცხოვრობენ. იმასაც ვიტყვით, რომ სომხებში ნამდვილი სომხის შთამომავალნიც არიან ისეთნი, რომელნიც გვარად ოჰანეზოვები არიან. ასევე მოვიყვანდით ჩვენ ბევრი გვარის ცნობებს, მაგრამ ესენი საჭირო არ არის. მკითხველისათვის ესეც კმარა, რომ იცოდეს საქმის გარემოება. მაინც გარემოების დასასაბუთებლად ვიტყვით შემდეგს:

ქართლსა, კახეთსა და ნამეტურ სამშვილდეს არ მოიძებნება არსად ისეთი სოფელი, რომ იქ ქართველთაგან სომხობაზე გადასულთა რიცხვი არ იყოს. არის მრავლად ისეთი სოფლებიც, სადაც სომეხთა საყდარი არ არის, სომხის სჯულის მქონი ქართველნი ქართველთ ეკკლესიებში დაიარებიან და აქ ეზიარებიან კიდეც. ხდება ისიც, რომ სომხის სჯულის მქონე მიცვალებულს ქართველი მღვდელი ასაფლავებს, ხოლო რაც შეეხება ყმაწვილის მონათვლას, ამას კი სტოვებენ იმ დრომდის, ვიდრე ამ სოფელში სომხის მღვდელი არ ამოვა, მაშინ მონათვლენ ხოლმე სოფელში ყმაწვილებს. ამ გარემოებას ფთხილად ეკცევიან. დანარჩენში კი ყველაფერში ახლოს არიან ქართველებთან, ქართულ ეკკლესიის წესებთანაც, რადგანაც ქართული ეკკლესია მათ სჯულის მხრივ არას ვნებს, მათ არ ასხვაფერებს. რამდენიც უნდა იაროს სომეხმა ქართულს ეკკლესიაში, ეზიაროს, ილოცოს და დასაფლავდეს იგი მაინც სომხის წესის მქონე პირად რჩება. მხოლოდ ქორწინებას კი ერიდებიან, ესეც XIX საუკუნის შემდეგ, ვინაიდან წესად იქნა დადებული, რომ სომხის სჯულის მქონი კაცი თუ ქართველთა სჯულის ქალს შეირთავს, მაშინ მისი შვილები დედის სჯულზე უნდა მოინათლოსო, ესე იგი სახელმწიფოს სჯულზეო.

ამის ბრძანება სომხის სამღვდელოებასაც ეუწყათ, ამიტომ ამის შესახებ მათ ერს გართხილება დაუწყეს და ქართველ სჯულის მქონე ქალთა შერთვა დიდათ აკრძალეს. ამ გარემოებამ მათში ნათესაური კავშირი საკმარისად მოსპო და დაარღვია. თუმცა თითო ოროლა მაგალითები კიდევ ხდებოდა. ყოველს შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიცოდეთ ის სინამდვილეც, რომ საქართველოში არიან მრავლად ისეთ ქართველნი, რომელნიც სომხის სჯულს აღიარებენ. უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყველა ესენი არიან ერთი ტომის, ერთი ქვეყნის და ერთი ენის შთამომავალნი. ამიტომაც ვსწერთ ამ წერილს და ვაცხადებთ საქართველოს სომხების ქართველ ერთან მჭიდრო ნათესაობას. ამას აჭეშმარიტებს ის გარემოებაც, რომ, ვინც ასეთ ქართველ სომეხნი არიან, იგინი წმინდა ქართულის, ბუნებრივი ენით ლაპარაკობენ და რომელნიც სომეხთა შთამომავალნი, იგინი კი გადამახინჯებულათ.

ეს ორი გარემოება ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ და ქართველ გრიგორიანებს ნამდვილ სომხებში არ უნდა ვურევდეთ. ამასვე გვიმტკიცებს მათი ტიპი, ენის კილო, აქცენტი და მთლათ მათი ანტროპოლოგია. ამიტომაც ვიტყვით, და გვითქვამს კიდეც რომ საქართველოში არიან მრავლად ისეთ ქართველნი, რომელნიც გრიგორიანობას აღიარებენ.

ზ. ჭ.

ბრწყინვალედ სთვლის. შემდეგ რაიონებიდან დამსწრე წარმომადგენლებს მიმართავს წარმოადგინონ მოხსენებანი. თითქმის ყველას მოხსენებიდან ერთი და იგივე შიმშილის ტკივილების სიმწვავე ისმოდა. ყველა მოუსავლობასა სჩიოდა და დახმარებას ითხოვდა. შემდეგ კრება შეუდგა დამხმარე ორგანიზაციის შექმნას. არჩეულ იქმნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გორის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობასთან ერთად იმუშავებს და მოაწყობს დამშეულ ხალხის გამოკვებას და სხვა და სხვანაირ დახმარებას.

შემდეგ კრებამ გამოსთქვა სურვილები და დაადგინა: 1) ეთხოვოს წვრილი კრედიტის ინსპექციას ვალის გადახდის შეღავათი; 2) დაარსდეს ყველა საკრედიტო ამხანაგობების კავშირი; 3) იშუამდგომლოს სამიწადმოქმედო დეპარტამენტის წინაშე, რომ გამშრალი კომბოსტოს ფოდრათის ნაწილი მაინც გადაეცეს ს. საქაშეთის სამეურნეო ამხანაგობას, რომელსაც საშუალება აქვს პირდაპირ მწარმოებლისაგან შეიძინოს კომბოსტო და ჩარჩი აიცილოს თავიდან; 4) აღიძრას შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე მოუსავლობით დაზარალებულ ხალხს გორის მაზრაში ყოველივე სახელმწიფო და საერო გადასახადების დაცდა მეორე მოსავლამდე; 5) ეთხოვოს მოშუამავალ მოსამართლეებს და ყოველივე ღონე იხმარონ რათა ქვრივ-ობლების ღედუ-მამულები მცარცავ კერძო პირებს არ ჩაუვარდეს ხელში, არამედ ეს თავის თავზე იდოს საკრედიტო ამხანაგობებმა, 6) სასურველია, თუ მთავრობა გლეხების საკუთრებას მაღაზიის ფულს დაუბრუნებენ დამშეულს ხალხს და გასაჭირიდგან იხსნიას; 7) ეცადნენ გაავრცელონ წვრილი კრედიტის ამხანაგობები და ამით ალაგმონ კერძო მოვახშე-ჩარჩები და სხვა. კრება საღამოს 5 საათზედ გათავდა, ხოლო არჩეულ კომისიის და გორის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრების კრება მაშინვე იქმნა დანიშნული 8 საათისთვის... ამ ორგანიზაციამ იქონია თათბირი და სწრაფლ დაადგა დახმარების აღმოჩენის გზას. უკვე გამოწერილია 25 ვაგონი ხორბალი და შემდეგში მეტსაც გამოიწერენ. დიდი მადლობის ღირსია ინსპექტორი ბ. გრიგორია. იგი ახალგაზრდა, დაუღალავი მუშაკია; კარგადაც ესმის თავის თანამდებობა და ცოდნას ხალხის საკეთილდღეოდ იხმარს. უსურვებთ ამ ჩვენი ბეჩავ ხალხის გულშემატკივარს მეტს ენერგიას, მეტს სიყვარულს სამშობლო ერისადმი და ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაიშურებს არაფერს და თვით სიცოცხლესაც კი ზვარაკად დასდებს სამშობლოს სამსხვერპლოზედ. ჩვენი მადლიერი ერი არ დაივიწყებს მას და მისთანებს. სამშობლო დახმარებას გვთხოვს. წინ! ფხიზლად და მედგრად.

**ურბნელი გასო.**

---

**ტობანიერი.** (ქუთ. მაზრ.) 29 აგვისტოს აქ მოხდა სამტრედიის ბოქაულის გაბუნიას განკარგულებით და თანადასწრებით ტობანიერის საზოგადოების სასოფლო ყრილობა ხსენებულ საზოგადოებაში უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებლის დაარსებისათვის შუამდგომლობის აღსაძრავად. საზოგადოება რიონ გამოღმა მხრის საზოგადოებებში ერთ უპირველესად უნდა ჩაითვალოს ხსენებული სასწავლებლისათვის, პირველათ, არსებული სკოლების სიმრავლით და მეორე მით, რომ მას თანვე აკრავს საპაიჭოვოს და მუხაყრუის საზოგადოებები და ნაწილი ვანისა, რომელთაც ტობანიერების თანაბრად შეუძლიათ ხსენებული სასწავლებლით სარგებლობა. სასოფლო ყრილობამ გაითვალისწინა რა ამ საზოგადოების საჭიროება სწავლა-განათლების მხრივ და მისი უპირატესობაც სხვა სოფლებთან შედარებით, დაადგინა ეთხოვოს მთავრობას გაიხსნას ტობანიერში აგეთი სასწავლებელი და თუ მოსახერხებელი იქნება მდგომარე წლიდანვე. ყრილობამ შენობის აშენებამდის სკოლის გასამართავად დასთმო სასოფლო კანცელარია; აღუთქვა ორი ქცევა მიწა, თავდაპირველ მოსაწყობად ასი თუმანი და შემდეგ ყოველწლივ ას-ასი თუმნის გამოღება.

ამ საქმის მოსაგვარებლად და საწარმოებლად აღირჩიეს სამზრუნველო კომიტეტი ხუთი პირისაგან შემდგარი, რომელშიდაც მოჰყვნენ: მღვდ. ი. და ა. მომფორიები, გ. ბაღდავაძე, ვლად. სანიკიძე და მასწ. ბაკურაძე.

უნდა მოვიხსენიოთ, რომ პირდამე შეულმა და მურმა აქაც იჩინა თავი სამზრუნველოს წევრების არჩევის დროს ხალხმა ხვათა შორის კანდიტატათ დაასახელა ერთი აქაური მღ. ს. კეკელიძე, რომლის დასახელება არ ესიამოვნა მწერალ ბაკურაძეს, რადგანაც ხსენებულ მღვდელთან მას პირადი უკმაყოფილება აქვს; როგორც მწერალს, ჩაენიშნა მღ. სიაშიკ ძე, მაგრამ მან განაჩენში არ ჩაიტანა ის. მესამედ მოთხოვნის შემდეგ არაფერი სთქვა და ყრილობას მოთხოვა სხვა კაცები. ყრილობამ დაასახელა სხვებიც და შემდეგ, როცა არჩეულთა სია წაიკითხეს. არჩეული აღმოჩნდა თვით მწერალი ბაკურაძე და ხსენებული მღ. კეკელიძე კი არა და როცა ამაზედ მიუთითეს და შეეკითხენ, მეტი კაცი არ არის საჭიროო უპასუხა ხალხი უკმაყოფილო შეიქნა ისეთი აზრუნდით; 6 ეკენისთვეს კიდევ მოახდინა ყრილობა ამავე სასწავლებლის შესახებ ზემონახსენებმა ბოქაულმა და მისცა წინადადება ხალხს—საქმის მალე დასაგვირგვინებლათ ეწოდათ მომავალი სასწავლებლისათვის მემკვიდრის ალექსის სახელი და ამასთანავე გაედიდებიათ სამზრუნველო კომიტეტის შედგენილობა. სამი გავლენიანი პირით, ოლქის მზრუნველთან შუამდგომლობის აღსაძრავად. ხალხმა ერთხმათ მიიღო ორივე წინადადება.

ასარჩევ პირების შესახებ წინდაწინ ჰქონდათ მოლაპარაკება უკვე არჩეულ ნახსენებ სამზრუნველოს წევრთ და გადაეწყვიტათ მიეცათ ხალხისათვის წინადადება აერჩიათ სამზრუნველოში თბილისში მცხოვრებნი, ტობანიერის მემკვიდრნი, როგორც უმაღლესი განათლებით აღჭურვილნი და გავლენიანნი: შუამთის მონასტრის წინამძღვარი არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი), დეკ. კალ. ცინცაძე და თბილისის ეპარქიალურ სასწავლებლის ინსპეკტორი, ცნობილი ქართველი მწერალი დეკ. კორნ. კეკელიძე. ამ უკანასკნელის არჩევაზედ მწერ. ბაკურაძე არასგზით არ დათანხმებია თავის ამხანაგებს. ნახსენებ დეკანოზზე გადმოიტანა ზისი უმცროსი ძმის ზემონახსენებ მღ. სევ. კეკელიძის ჯინი და ამით აიხსნება მისი ასეთი უარის თქმა. ნახსენებ ყრილობაზედ გაიძახოდა ორი ავირჩიოთ დეკ. ცინცაძე და არქ. ნესტორი, კეკელიძე არ გვინდაო. მაგრამ ხალხმა მისი სურვილის წინააღმდეგ დეკ. კეკელიძე აირჩია.

ყრილობის დასასრულ დადგინეს განაჩენი, რომელიც გაეგზავნება ხსენებულ სამ პირთ მზრუნველთან შუამდგომლობის აღსაძრავად და, იმედია, რომ ისინი, როგორც ამ ქვეყნის შვილნი, ყოველივე ღონეს იღონებენ დაჯალებულის შესრულებისათვის და გამოადგებიან თავის აღმზრდელ სოფელს.

**შვამთელი.**

---

**დ. ჭრებალო.** (ლეჩხუმის მაზრა) სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ ორ-სამ წელიწადში რაჭა-ლეჩხუმში გაიხსნა რამდენიმე ეჯრე-წოდებული უმაღლესი დასაწყისი სასწავლებელი, მაგ. დ. ცაგერში დ. ონში და სოფ. ნიკორწმინდაში. მაგრამ სიშორის გამო ამ სასწავლებლებით ვერ სარგებლობენ ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის მოსაზღვრე საზოგადოებები, მაგ. ჰყვიშის, ხვანჭკარის, პატარა ონის, ცხის და სხვანი. ამიტომ შეიქნა საჭირო, რამ ამ საზოგადოებების საშუალო ადგილზე დაარსებულიყო ასეთი ტიპის სასწავლებელი. ასეთ საშუალო ადგილად აქ უნდა ჩაითვალოს ჭრებალო. ამისდა მიხედვით გავლენიანმა პირებმა აღძრეს შუამდგომლობა დაეარსებიათ დ. ჭრებალოში უმაღლესი დასაწყისი სასწავლებელი. 23 მარიობისთვეს ჭრებალოში მოვიდა ლეჩხუმის ბოქაული ბ. კედია. მან შეჰკრიბა აქ ჰყვიშის, ხვანჭკარის, პატარა-ონისა და ცხის საზოგადოების მცხოვრებნი. ამ კრებაზე როგორც მან, აგრეთვე ბ. კაკო ლოლელიანმა, სპირ. ჰელიძემ და სიმ. ლექავამ განუმარტეს ხალხს თუ რა სასწავლებელია უმაღლესი დასაწყისი სასწავლებელი, რა სარგებლობის მიტანა შეუძლია მას და ან რამდენად საჭიროა მათი შვილების აღსაზრდელად დაიარსონ ასეთი სასწავლებელი ჭრებალოში. შემდეგ ურჩიეს მათ, რომ შეერთებულის ძალით იკისრონ ამ სასწავლებლის დასაარსებლად მოსალოდნელი ხარჯების გაწევა. ხალხი დასთანხმდა ამ სასწავლებლის დასაარსებლად გადაიხადონ 3500 მან.

მადლობის ღირსი არის ყველა ის პირი, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ სასწავლებლის დარსების საქმეში, ხოლო არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ ბატ. ლოლელიანს, რომელმაც ხალხის წინაშე სახალხო სკოლების მასწავლებელნი უვიცებათ მონათლა. ბ. ლოლელიანს უნდა სცოდნოდა კარგათ, რომ პირველი სწავლა იმ ბავშვებისა, რომელთათვისაც იხსნება უმაღლესი სასწავლებელი ამ მასწავლებელთ აწევს კისერზე. და თუ ეს მასწავლებელნი, როგორც ლოლელიანი ბრძანებს, უვიცები არიან, მაშინ უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებელსაც თავისი მნიშვნელობა ეკარგება ხალხის თვალში. ხალხს შეეძლო მისი სიტყვების შემდეგ, როცა მან მოხსენებულ სასწავლებლის სარგებლიანობაზე ილაპარაკა, უარეყო პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის ღირსება ჭრებალოში. და იგი ამ შემთხვევაში სასწავლებლის მტრათ გამოვიდოდა. უნდა იცოდეთ, ბ. ლოლელიანო, რომ ყოველივეს თქმა რაც ადამიანს პირზე მოადგება არ შეიძლება.

**კვირიკე წმინდელისა.**

---

# პასუხი.

მასწავ. ვარლამ დავითის ძე ძიძიგურს.

ბ. ძიძიგურო, თქვენმა საპასუხო წერილმა („სამშობლო" №164) სრულებით ვერ დაგვაკმაყოფილა, პირიქით, ღრმათ დაგვარწმუნა, რომ საზოგადო ფულები უთავბოლოთაა ან დახარჯული და ან გაფლანგული, შეიძლება მითვისებულიც კი. პირველ ყოვლისა თქვენ მიერ „სამშობლოში" (164№) გამოქვეყნებული ანგარიშის ერთმა მხარემ წერილის პირველ წაკითხვისთანავე დაგვაეჭვა. თქვენის სიტყვით ხარჯებისთვის დამშეულთათვის დასარიგებელ ფულებიდან საერთოდ აღებულა 132 მ. 8 კ., აქედან კომისიის წევრებს და მწერალ-მამასახლისს 52 მანეთი 50 კ. წაუღიათ, მაშასადამე პირადათ თქვენ უნდა დაგეხარჯათ 79 მ. 58 კ. და არა 69 მ. 50 კ. როგორც თქვენ გვარწმუნებთ. სად წავიდა ეს ერთი თუმანი? პირველათ გვეგონა, რომ ციფრებში კორექტურული შეცდომა იყო, მარა წერილის ბოლომდი თქვენ ამ თანხას (69 მ. 58 კ.) რამდენჯერმე იმეორებთ, ასე რომ აქ უნებლიეთ შეცდომას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თქვენ, ბ. ძიძიგურო, მასწავლებელი ბრძანდებით და როგორ დაიჯერო, რომ 132 მ. 8 კ. უშეცდომოთ ვერ გამოაკლებთ 52 მ. და 50 კ. ან თუ ციფრეში შეცდით, ის როგორ მოგივიდათ, რომ როცა ჯიბეში ჩაგრჩათ ერთი თუმანი მეტი, თქვენს თავს არ შეეკითხეთ თუ საიდან გამოჩნდა ეს ფული? ნუ თუ სოფლის უბრალო მასწავლებელი ერთი თუმნის დაკლება-მიმატებას ვერ გაუგებთ თქვენს ჯიბეს? ჩვენ ეს გარემოება ძალიან გვაეჭვებს და ვფიქრობთ, რომ აქ საქმე გვაქვს არაკეთილსინდისიერ საქციელთან. ამაში თქვენი წერილის დანარჩენი ადგილებიც უფრო აშკარათ გვარწმუნებენ.

ჩვენი ანგარიშით პირადათ თქვენ დაგიხარჯავსთ 79 მ. 58 კ. (და არა 69 მ. 58., როგორც თქვენ სწერთ); თუ რაზე დაიხარჯა ეს ფულები, თქვენ ამაზე შემდეგ პასუხს იძლევით: „მთელი რვა დღე ვიყურყუტე ქუთაისში და დიდი ხარჯიც მომივიდა: (ეტლები, სასტუმროში ბინა, სახლში კი ჩემს მოწაფეებთან დატოვებულ მასწავლებელს მანეთს ვაძლევდი საათში)... მარტო მერვე დღის ხარჯები, როცა საქმე დაბოლავდა, ოც მანეთს აღემატება. ქუთათურმა მეტლემ წაიღო 5 მ., ხონელმა ოთხი და სხვა..." ერთის სიტყვით გასავალია ნაჩვენები, მარა უნდა გულ ახდილათ მოგახსენოთ, რომ აქ ბევრი რამ მიგვაჩნია საეჭვოთ და ზედმეტათ, თუმც თქვენთან ერთად ისიც გვწამს, რომ ბიუროკრატიულ კანცელარიებში ბევრი დავიდარაბაა საჭირო, მარა ამდენი ხარჯები მაინც გადამეტებულია და საუბრობა. როცა თქვენს კერძო საქმეზე ხართ სადმე, მაშინ ნება გაქვს რამდენიც გინდათ იმდენი დახარჯოთ, ხოლო საზოგადო საქმეზე ხარჯს დიდი მომჭირნეობა უნდა, აქ ყოველი კაპეიკი მოფიქრებულათ უნდა დაიხარჯოს, თორემ ბ. ძიძიგურო, ქუთაისში ეტლებში და სასტუმროებში რვა დღეს რვა ასი მანეთის დახარჯვა შეიძლება. თქვენ კარგათ უნდა გცოდნოდათ, რომ ყოველი კაპეიკი, რომელიც თქვენ მიერ ქუთაისში იხარჯებოდა, დამშეულთა საზრდოს აკლდებოდა, ამიტომ თუ საზოგადო საქმეს აკეთებდით, არც ის იქნებოდა ცუდი, რომ ქუთაისში ეტლებით სიარულს მაგიერ ფეხით გევლოთ, ბინით ნაცნობებს ნათესავებში გაჩერებულიყავით, ან და მდარე ნომერში გაგეთიათ ღამე; ერთის სიტყვით იმის ცდაში უნდა ყოფილიყავით, რომ რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი მიგეცათ დამშეულებისათვის. თქვენ კი ასე არ მოქცეულხართ და გადამეტებული ხარჯები გაგიწევიათ, თქვენ სწერთ, რომ „სახლში ჩემს მოწაფეებთან დატოვებულ მასწავლებელს მანეთს ვაძლევდი საათშიო", მეორე ადგილას ამბობთ —ჩემს შრომაში 36 მანეთი ავიღეო, გამოდის, რომ საზოგადოებას ორი კაცისთვის უძლევია ქირა—თქვენთვის და თქვენი მასწავლებლისთვის. დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოებას რომ თავიდანვე სცოდნოდა ეს, თქვენ არ გაგზავნიდა ფულის მოსატანათ, განა ნახახულევის საზოგადოებაში კაცი დაილეოდა? მაგრამ თქვენ, ბ. ძიძიგურო, ცოტა არ იყოს აქ თქვენ ხლესტაკოვისებური თვისება გამოგიჩენიათ: საზოგადოების წარმომადგენლის სახელითაც ისარგებლეთ, საზოგადო მოღვაწეთაც ეჩვენეთ სოფელ-ქვეყანას და „გასამრჯელოც" შესაფერი აიღეთ. მაგრამ აქ კიდევ სხვა მხარეებს უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც გაგვიგია თქვენ შეგირდებს დღეში ოთხ საათს მაინც ამეცადინებით, ისე მოიქცეოდა თქვენ მიერ დაქირავებული მასწავლებელიც, რომელიც დღეში ოთხ მანეთს გამოიმუშავებდა (თქვენ ამბობთ საათში მანეთს ვაძლევდიო). რვა დღიდან, რომელიც თქვენ ქუთაისში დაყავით, ერთი უქმე იქნებოდა, 7 კი საქმი, ასე რომ შვიდ დღეში ის მოსწავლები 28 მ. გამოგართმევდათ. 36 მ. როგორც ამბობთ თქვენ აგიღიათ შრომის ფასათ ხარჯებს გარდა, მაშ მარტო თქვენი და თქვენი მასწავლებლის ქირა 64 მანეთია, ამას თუ სხვა ხარჯებს მივუმატებთ ას მანეთს წააცილებს, თქვენ კი ამბობთ 69 მ. დავხარჯეო, რომელი დაგიჯეროთ პირველი, თუ მეორე? რომელია მართალი?

გეკითხებით განა აქ კეთილ სინიდისიერებასთან გვაქვს საქმე?

თქვენ სწერთ 36 მანეთი ავიღე „და განა ეს ჩემთვის არაში უნდა იყოს ყველა ზემო აღნიშნულ შრომის შემდეგო." როგორ, ბ. ძიძიგურო, თქვენ ხარჯებს გარდა ქირით 36 მანეთი აიღეთ და ისიც 36 მ. რვა დღეში? თავი საზოგადო მოღვაწეთ მოგაქვსთ და ყოველი თქვენი ნაბიჯი კი საზოგადოებისთვის მამასისხლათ საყიდელი ყოფილა. საზოგადო მოღვაწენი აგრე არ იქცევიან.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ და თქვენი საქციელის კვალიფიკაციას მანამ არ შეუდგებით, სანამ თქვენ მიერ გაწეულ ხარჯებს ნათლათ და გარკვეულათ არ გამოაქვეყნებთ; რაც გამოაცხადეთ ეს ერთობ გაუგებარი, გაურკვეველი და საეჭვოა, ამიტომ ხელმეორეთ გაძლევთ წინადადებას, რომ ისეთი ანგარიშები გვანახოთ, რომელშიც ყველაფერი ნათელი იყოს და ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდეს.

**ხონელი მასწავლებელი.**

დასასრული ხვალ.

---

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**


## ქ. ქუთაისი.

**ექიმი ქალი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

**ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა**

ღებულობს შინაგან და ქალთა ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ. 975

---

**იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა**

გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზის ახალი გამოცემა

**სამსონ დათეშიძის ქართული დედანისადა სამხატვრო ნიმუშებისა.**

---

**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი **მაია—მათე უაჩალათ წოდებული.**

**იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.**

---

**მასწავლებელი** ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელდა ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბარინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილას 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის. 12—8

---

**გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში**

**მთავრიშვილის** წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:

**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია",**

შედგენილი **ს. რ. გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

---

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

---

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.